


# ვ წ ე რ ი



საქონლებული, სამართლის და სალიტერატურო ნახ თეატრი გაზეთი; გამოცის ეოველ კვირა დღეს

№ 39

ს ე ტ ე მ ბ ე რ ॥ 14 1897 წ.

№ 39

**შინარსი:** რა ნაირი ამხანაგობაა საჭ რო გერიაში? ივანე ცეცხლაძისა. — სოფლის ვოთარება ცელ-ლუზასი. — სხვა-და-სხვა ამბები. — სომლერი ლექსი ვაჟა-ფშაველაში. — „გვა-ლის“ კორესპონდენციები. — ფალანგა და მორიელი. — მგზ ვისი შენიშვნება (ევროპაში) ფ. ჰატრიშვილისა. — \* \* ლექსი დ. თომა შვილისა. — სოკორიული და არხეოლოგიური აღწერა სოფელ უდისა (დასასრული) ვ. მერაბაშვილისა. — ძვირფასი ბორკილი (ურგანზადესი, გაგრძელება) თარგ დ. ჯერდავითანცისა.

რედაქცია თხოვს „პვალის“ და „ჯე-ჯილის“ ხელის-მომწერლებს რომ დღეს იქით არსენ ორმოცაძეს აღარ გადასცენ უურნალ გაზეთის ფული და არც წერი ლი ჩათვალონ ჩვენათ, თუ რედაქციის ბლანკით არ იქნება.

რედაქციი „პროექტი“ „შუამავლის“, (მე აქ მხედველობაში მაქს მარტო სავარიოების გახსნა ოზურგეთში) მხოლოთ შევნიშნავ, რომ „შუამავლი“ დაახსნდა იმ აზრით, რომ როგორმე „ხალხის ეკონომიკური მდგრამარეობა გავაუმჯობესოთ“ და პარეკლი პროექტი რომ განეხორციელებათ, სწორეთ თავის მიზანს აცდებოდა; სხვა არა იყოს რა, ხალხის ეკონომიკურ წარმატებას შემოტანილ საქონელში რომ დაუწყოთ ძებნა, ეს თვით ეკონომიკური კანონების წინააღმდეგობა იქნება, მაგრამ რაღაც თვით შუამავლის გამგებასაც შეუუნია ეს ჭრიარიტება და შედგომია პროექტის შემუშავებას, ამისათვის ამაზე ლაპარაკი მეტათ მიმაჩრია, მხოლოთ მე მსურს ორილე სიტუაცია ჩემი აზრიც გამოეთქვა, ამ საგანზე.

ჩენ ის დღე გვადგა დღეს, რაც ეკროპაში მაგ. ინგლისში ასის და მეტი წლის წინეთ ადგა იქაურ მუშა ხალხს, რომელმაც მიატოვა სამხრეთის მწერით მოსილა მანდექტები და დაიძრა ჩრდილოეთის ქალაქებისაკენ, სადაც სხვა-და-სხვა ქარხნებში იწყო მუშაობა. ამდენი მუშის მოზუვევამ შესაჩინევათ დაწია შრომის ფასი და აღარც სამუშაო უთავდებოდათ, რის გმოც გაჩნდა ბრძოლა შიშიულა და სიკვდილს შუა. დაეცა ხალხის ზნეობა, გამრავ ლდა ავა-



რა ნაირი ამხანაგობაა სა-ჭირო გვრიაში?

კიოხველებს მოები ენებათ, ოზურ-გეთში დაახსნდა ამხანაგობა „შუა-მავლი“, რომელსაც, როგორც გაზეთებიდან და კერძო პირადანც გაეიგო, თავისი პირელი პროექტი შეუცველია და სურს ახალი პროექტი შეადგინოს. რა-ღანაც ამ საგანზე საკმაოთ ბექრი დაიწერა გაზეთებში, ამისათვის მე აღარ შეცუდგები მის დამტკიცებას, თუ რამდენათ სასაჩვებლო, ანუ საზარალო იყო პი-

ზეკინა, დამცირდა საჩრმუნოება და სხ. და მხოლოდ შემდეგ გამოუჩნდენ გულშემატკიცარნი, იწყეს დარსება სხეა-და-სხეა ამხანაგობებისა, კაფშირებისა და სხე. ჩეენ კი ლეთის მაღლით ჯერ არ დაგვიგვიანებრა, ჩეენი ხალხი უფრო მჭიდროთ არის სოფელზე შეკავშირებული, მაგრამ მოძრაობა აქაც დაეტყო, გაჭირვება თავისას შერება და ხალხმა იწყო სამუშაოთ დენა სხეა-და-სხეა ქალაქებში და პორტებში, მაგრამ ჯერ-ჯერობით არა მთელი ოჯახობით, არამედ თითო წევრობით, მაგრამ, ვაი, ამათ ბედს. შავი ზღვის პარებში ბევრია ისეთი ქრისტელი მუშები, რომელიც ამდენიმე წელიწადია წამოსულან სამშობლოდან იმ აზრით, რომ რამე ეშოვენოთ და ოჯახს შევძინოთ, მაგრამ ბედს აქაც უმტყუნებრა, ზოგი მათგანი ბევრს ცდილა, ბევრს წვალებულა, მაგრამ იმდენიც ვეღარ უშოვნა, რომ თავისი თავი გამოეკვება; ბოლოს ქალაქს თავისი დაღი დაუსვებას ზერობით დაუქვერობია და ეს კეთილი მუშაკი, რომელიც თავს ქვეყანაში კაცათ ითვლებოდა და საზოგადოების წევრს შეადგენდა, რომელიც ცდილობდა როგორმე თავი დაეაღწიო ამ გაჭირვებას და ჩემ მტერ მოყვარუში მეც კაცათ გამოუჩნდეთ, რისთვისაც შორ ქვეყანაშიაც კი გამოიჭრა, გადაუძახება იმ უფსკრულისაკენ, საიდანაც დაბრუნება მეტათ ძნელია და ასე საშუალოა დასრულებულა მისი თავკამიდებითი ბრძოლა.

მაშასადამე ჩეენ უნდა ვეცადოთ, რომ ხალხი სოფლებიდან არ დაიძრეს, სოფელშევე უნდა მოუპოვოთ სახსარი ცხოვერებისა და ამ მიზნის მისაღწევათ ის კი არ არის საჭირო, რომ სხვაგნიდან, რაც შეიძლება ბევრი მოვიტანოთ საქონელი, არამედ ისა, რომ რაც შეიძლება სხვაგნიდან ცოტა მოვიტანოთ და სამაგიროთ ჩეენი გევამრაელოთ და უფრო ბევრი მივაწოდოთ სხვას. დიახ, შეელა მხოლოთ ამაშია, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა მეურნეობის გაუმჯობესობა და მტკიცე ნიადაგზე დაყენება

აქ უნდა გამოიჩინოს საზოგადოებამ თავისი ძალონე, საქმის ცოდნა, მამულის სიყვარული, ხა-ი თის სიმტკიცე და მხერობა, რომ მიეშველოს გა-ჭირებაში ჩაგრძნილ ერს და როგორმე იხსნას განსაცდელისაგან.

როგორც ვიცით გურულები ძალიანი წამბაძენი არაან, იქ ერთი მეორის მიხედვით ყველაფერი აღრე ერცელება, მეტადრე ისეთი რამები, თუ რომ რაიმე სახეირო და სასარგებლოა, რის მაგალითებიც ბევრია, ხოლო აქ ჩამოთვლა საჭიროთ არ მიმაჩინა. გაშ ჩაფარენც ამნარი ხალხი გვყაეს, ვეცადოთ, რომ უკრნეობა უშეკოლოთ გავაერცელოთ მათში, ნუ თუ ჯველა მეურნე უსათუოთ აგრონომი უნდა იყოს?

ი, ამ მიზნით დაგაარსოთ ამხანაგობა, ურცმელებული დაგარქებათ მეურნეობის დამხმარებელის ფაქტურულებელი საზოგადოება, რომელსაც მიზნათ უნდა ექმნეს შემდეგი: შეიძინოს ადგილ-მამული რომელზედაც უნდა გამართოს სამაგალითო მეურნეობა და მიწის მუშაობა, უნდა აშენოს და აკეთოს ისეთი ხეხილები, მცენარეები, ბოსტნეულობა, რომელიც ჩეენში იხეირებს და სხვაგნ ბაზარს იშოვნის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მებრეშუმეობას, მეფუტკრეობას, ვაზის მოვლა-მოშენებას და კარგი გვრის სეხილის მოშენებას, რისთვისაც უნდა შეიძინოს სხეა-და სხეა ახალი სამეურნეო იარაღი, გაიჩინოს კარგი ჯიშის შინაური პირუტყვი, გამოიწეროს ყოველნაირი თესლები და ნერგები, რის მოშენებაც და კეთებაც შესაძლებელია ჩეენში და სასარგებლო და დაურიგოს ხალხს, რაც შეიძლება მცირე ფასათ, ეცალოს და იზრუნოს ყველა ამაების ხალხში გაერცელებას, მოიწეოს ყველა სოფლებიდან მეურნენი და პრაკტიკულათ გაცნოს და აუხსნას, თუ რა როგორ კეთდება, რა ღრიოს და რა ნაირ მიწაზე დაითხოს და როდის როგორ მოექცეს და სხეა; რისთვისაც გამოსუს პატარა წიგნაები და უფასათ დაარიგოს ხალხში, იზრუნოს რამდენიც შესაძლებელი იქნება და ყველა სოფლის ნაწარმოებს ბაზარი მოუპოვოს და სხვ.

მე არ ვკისრულობ აქ სრული პროექტი წარმოვალები, არამედ მხოლოთ უმთავრესი დანიშნულებანი აღნიშნე. როგორც ზევით ვთქვი, გურულებს უნდა მხოლოთ მაგალითის მაჩვენებელი და დამრიგებელი, ამ მიზნის შესრელება ზემოხსენებულ ამხანაგობას კიდევაც შეეძლება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოება ამ გვარ ამხანაგობას სრულ თანავრნობას გამოუჩინს და აღრეც შეითვისებს იქაუჩ სწავლა-დარიგებას; ამრიგათ ამხანაგობის ნაჩვენებ-ნაწავლები და ნამოქმედარი სისწავეთ მოეფინება მთელ მაზრას. ნუ თუ მოსატევებელია ჩეენთვის, რომ მეფუტკრეობა ასე დაბლა დგას გურიაში? მაშ სად უნდა აღორძინდეს ეს ფრიად შემოსაელიანი დარგი, თუ არ გურიაში? ეგვევი ითქმის როგორც მებრეშუმეობაზე, აგრეთვე ყველა დანარჩენ ნაწარმოებზედაც; ნუ თუ ისე მწირი და უვარებისა წევრი მიწა, რომ ჩეენიც დაბა ქალაქებისთვის საჭირო კართოფილი და ხახევ ვერ მოვიყვანოთ ყველე წლივ? მაგალ. ბათუმისთვის, ფოთისთვის და ქუთაისისთვისაც კი ოცი და ოცდა ათი ათას ფუთობით მოდის ბესარაბიდან კართოფილი, ხახევ კი შორეული ალექსანდრიდიდან. უცხო ენიშე რომ მოეიდეს გურიაში და მას უთხრან, რომ გურულები ალექსანდრიდიან ეზიდებიან ხახესაო, გან-

ცვიურდება და არც კი დაიჯერებს; ჩეენ კი, ეითომც ასე უნდა, სრულიადაც არ გვაკეირებს, გვაკეირებს კი არა იმის მქადაგებელიც გამოჩნდა, რომ ამხანაგობა დავარსოთ და უფრო ბევრი მოვიტანოთ. ახლა ავიღოთ ხეხილი. დღეს ისე გადვილებულია ხილის გადაზიდვა, რომ ჩეენ აღვიღოთ შეგვიძლია რუსეთის უველა უმთავრეს ქალაქებს მიევწოდოთ ჩეენი ხილი, მაგრამ გურიაში ამ სავანს უყრადღებასაც არავინ აქცევს, მაშინ როდესაც უკანასკნელ გლეხსაც კი შეუძლია ათი და ოცი ძირი ვაშლი გამაშნოს თავის ეზოში. ვაშლი, მსხალი და სხვ გურიაში ბევრია, მაგრამ ისეთი არც კი მოიპოვება, რომლის გადაზიდვაც შეიძლებოდეს და ღრრსებით კარგი იყვეს. აგრეთვე ბევრია გურიაში ისეთი ეწერ-მაღლობი ადგილები, სადაც სიმინდი ღომი და სხვ. არ მოდის, რომელზედაც ახლა ბარდ-ეკალის მეტი არა მოიპოვება რა და ტურის სამეფოთ გადაქცეულა, აი, ამისთანა ადგილებზე შეიძლება თხილის გაშენება, რომელიც შრომას უხვათ აჯილდოვებს, მაგრამ როგორც სხვა ხილი, აგრეთვე არც თხილი მოიპოვება ჩეენში კარგი გვარის, ასე როგა საზღვარ-გარეთის თხილი 4—5 მანეთათ იყიდება ფუთი, ჩეენი 2 მ. 2 მ. 40 კ. მეტათ არ გადის. როგორც ზეეითა ვთქვი, კარგი ვაშლი, რომლის გაზიდვაც შეიძლებოდეს და ღირდეს გასაზიდავათ, გურიაში არ არის, ხოლო უგრისი კი ბევრია, რომელიც ახლა ტყუილ-უბრალოთ ლპება, მაშინ როდესაც შეიძლებოდა ამ ვაშლის დათლა და ჩირათ ვაშრობა, რომელიც 7 წლის ბავშვაც კი შეუძლია და ამნაირი ჩირი, მეტათ თუ არა, ორ მანეთათ მაინც გაიყიდება ფუთი. შეიძლება აგრეთვე გავარტცელოთ ჭანჭური, ჭერამი, ალუბალი და სხ., რომელიც თუ რომ საშრობი მანქანები გვექნება, კარგ სარგებლობას მოიტანს. მიუხედავათ ყველა ამისა გურიაში თუ ეინგე რამე ხეხილს რეას და მყინის მხოლოთ მისთეის, რომ სახლში საჭირო ხილი ჰქონდეს, ხოლო მას გავყიდი და ფულს ავიღებო, ფიქრათაც არ მოუვა, ასე რომ ბევრი კიდევაც თაკილობს, რომ ჩაიმე ხილეულობა, ანუ შინაური ფრინველები, ინდოური, ბატი, ქათაში და კუერცხი ბაზარში წაიღოს და გაყიდოს, შეიძლება ერთ სოფელში ბუთი ექვსი მოსახლე გამოდგეს, რომელიც კადრულობს და ყიდის ამ გვარ შინაურ ნაწარმოებს და დანარჩენი კი უკადრისათ შეცეკვის ამგვარ მწარმოებებს და სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩეენი ნასწავლი მეურნენი გაურბიან საკუთარი წარმოების დაწყებას. მაგრამ დროა, გამოეფხიზლდეთ, დაეთელოთ ამ გვარი სულელური წარმოდგენა და ადგილი დაეუთმოთ იმ სავანს, რომელსაც ნამდევილათ შეუძლია ჩეენი კუონომიურათ წარმატება და სხნა ამ გაჭირებულ მდგომარეობიდან.

ამხანაგობას რომ უფრო გაუადერდებულ ჟაფრება მოქმედების დაწყება, შეუძლია თავისი შეარჩინო მიწაზე, რომელიც ჩემის აზრით საკმაოთ მოიპოვება ჩეენში და ხაზინაც დიდი სიმოვნებით დაუთმობს გრძელი ეადით ამ ნაირი მიზნისათვის თავის მამულს. მაშ მხოლოთ დაგვრჩენია ისა, რომ გამოჩნდეს მცოდნე და ენერგიით აღჭურვილი კაცი, რომ საქმე ითაოს და სისრულეში მოიყენოს.

აგრეთვე იმედი მაქეს, რომ ამნაირ ამხანაგობას ობურებეთის ვაჭრებიც დიდ თანაგრძნობას გაუწევენ და ერთხელ კიდევ დაუმტკიცებენ საზოგადოებას, რომ ისინი არამც თუ გაურბიან საზოგადო სასარგებლო საქმეს, არამედ ისეთივე და თითქმის უფრო გულშემატკიცარი არიან, ეინემ დანარჩენი წევრნი საზოგადოებასა. ვამბობ, ერთხელ კიდევ დაუმტკიცებენ-მეთქი, იმიტომ რომ პირველი ამხანაგობის დაარსება (მეტალეთა ამხანაგობა) ჩეენში ეკუთვნის ობურებეთას ვაჭრებს, რომლების მეოცხებითაც ყოველ წლობით რამდენიმე ათასი მანეთი რჩება საზოგადოებას ჯიბეში.

იგანე ცეცხლაძე.

სოფელის გითარება.



ურია. ჯვარცხმა, ერკეთი და დაბა ჩიხატაური. ჯვარცხმა და ერკეთი მეზობელი საზოგადოებებია. ორივე დაჯილდოვებულია ბუნებით. წელს მაინც შეენირ მოსახლს მოველით. სხვათა შორის ჩეენებურ ჩხავერს ძალიან ასხია. აქედან ბლობთ გააქვთ სხე-და-სხე ქალაქებში: არაყი აფელობრივ მცხოვრებებს, თუთუნი, აბრეშუმი, თაფლი და ყეითელი სანთელი—სომხებს და ბერძნებს. ერკეთში ხშირათ შეხედებით ისეთ მოსახლეს, რომელსაც აქეს გასაყიდათ: 100—200 ფუთი თუთუნი, 1—2½ ფ. აბრეშუმის პარკი, 25—35 ფ. სანთელი და თაფლი. ყველა ამას ჩარჩები ყიდულობენ ძალიან იაფათ; ის ჩარჩები, რომელთაც პირველათ გაჭრობა დაიწყება რამდენიმე ათი მანეთით, ახლა რამდენიმე ათი ათას მანეთს ატრიალებენ. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა დავვისხიდეს ამ ჩარჩ-ბალაციისაგან. ამხანაგობასაც კარგი მოგება დარჩებოდა და ჩეენც გადაურჩებოდათ იმათ შეუბრალებელ ბრჭყალებს. ვიღაც სომეხ-ეკარს ევებერთელა პარკთ საწყობი გაუმართავს ჩიხატაურში და 1800 ფუთი პარკი აქეს ნაყიდი. (ამავე გაჭარს აქეს ლანჩენტში, საჯაოხოში და აბაშაში 2500 ფუთამდის.)

ყიდულობს 9—10—11 მან.; ჰყიდის 40—43 მან. ფუთს. ამას გარდა რამდენი იყიდეს ურიებმა!? ამას ის ეჭვიღინება, რომ აწი მაინც, გურიის ამხანაგობა გარართავდეს აქ საწყობებს და იყიდდეს ხალხის ნაწარმოებს. თუ ფული არ ეყოფა, შეუძლია, ნისიათაც აიღოს და გაყიდეის შემდეგ სოფლელებს თავიანთ ნაწარმოების ფასი სინიდისიერათ დაურიგოს.

არაეს ორთავე ადგილას ხდიან, უფრო ბევრს კი ჯვარცხმაში. არაყმა ეს უკანასკნელი წელში გამართა; ხშირათ შეხედებით ისეთ მოსახლეებს, რომლებიც ხდიან 100—250 ვედრას. სხვა აქ არაფერი არ იყიდება (თუმცა ხილი ძალიან ბლომათ არის, მაგრამ ამას ვინ აქეცეს უკადლებას) საუბეჭუროთ ახლა ჯვარცხმა უკან მიღის. მიზეზი არის პატენტის გადიდება. არაყის გამომხდელი ახლა დღე-და-დამეში 12—15 მან. იხდის. საცოდეებს მოსაგები არაფერი რჩებათ და ტყუილა იწერინ-იხრაკებიან. სოფლელები ხედავენ, რომ თავის რჩენა გაჭირდა და სხვა და-სხვა ადგილას დაწოწავენ ლუკმა პურის საშორათ. უფრო კი გემებზე სამუშაოთ მიჰყებიან იმათ, რომლებსაც ახსოვთ მხოლოთ თავის-თავი, რომლებიც თითო მუშას 40—50 მან. ნამუშავარში აძლევენ 6—10 მან., რომლებმაც თავისის ექსპლუატატორობით, გეინდენს ბლომათ ფული, ადგილ-მამული და გამოსკიმეს უზარ-მაზარი სახლები.

ჯვარცხმაში დიდი ხანი არ არის რაც გახსნეს ორ-კლასიანი სკოლა. სკოლის აშენება გაიცა იჯარით, დაიწყეს — 4000 მანათიდან. დარჩა ასაშენებლათ მამასახლისის სახლი კაცს ი. ჩხიკვაძეს 2500 მან. შენობა შორიდან მომზიბლავა, ახლოდან-კი აღამიანს თავ ზარი დაცემა. კედლები, იატაკი და ჭერი დანგრეული; წრილი სეეტება დაზნექილან სიმძიმისავან. აქვე სკოლასთან არის სასოფლო სასამართლო.

ამ შენობის წინ ამაყათ დგას „ხელ-ფეხსანი-მუხა“. მუხაში ორი ადლის სიმაღლეზე ფულუროა. ფულუროში რეა წლის წინეთ ესვენა ღეთის-მშობლის ხატი, ახლა ცარიელია. ამ მუხის შესახებ მოხუცებულები შემდეგს მოგვითხრობენ: „ძევლათ აქ იყო გაუვლელი — ხშირი ტუე, სასეს სხვა-და-სხვა ნადრებით და ფრინველებით. ამ მუხის ძირში ასამართლებდენ დამაზავეებს — ავაზაკებს და სჯიდენ მათ საშინელი სიკეთილით; ჭრიდენ ხელ-ფეხს და ჰერებდენ მუხის კენწეროში. (სხეულებს კი ტუეში ისროდენ.) ი აქედან დაარქეეს ამ უზარ-მაზარ მუხას „ხელ-ფეხიანი“.

მუხის იქით-აქეთ რამდენიმე ახალი აშენებული დუქნებია. ხალხი ბლომათ გროვდება აქ ყოველ სალამობით და ლაზლანდარობს. დიდ სარგებლობას მოიტანდა აქ სამკითხველო. იმედია მასწავლებლები

ბ. გ. ზაზაროვი და ბ. ს. წაქაძე როგორმე უცდებიან და ჩაგონებენ ხალხს სამკითხველოს შემდეგობას. ერთი-მეორეზე თითო მოსახლემ რომ თო-ორი აბაზი გადაიხადოს, 500—700 მან. შეგროვდება. ხიდისთავში არის ორ-კლასიანი სკოლაც და ბიბლიოტეკაც. იქაურ მოსწავლეებს თითქმის ყველა ქრისტული წიგნები აქეთ გადაკითხული; აქ კი ლ—ის „მეთოდით“ სწავლებამ ჭუა-გონება მთლათ დაუხმო მოსწავლეებს; აი ამისთვის არის საჭირო ბიბლიოთეკა, რაღანაც მათ ეჭირვებათ გონებრივი განვითარება.

ჯვარცხმა შესდგება 5 სოფლიდან. ჯვარცხმის სოფელში ყველაზე მეტი მცხოვრებლებია. საყდარიც დიდია აქ. კეირკობისთვის დამლევს ეს საყდარი შესაკეთებლათ და შესაღებათ აიღო ი. ჩხიკვაძემ. იმედია ამასაც ისე ერთგულათ გაკეთებს, როგორც გაუკეთა სკოლა! აქ საყდარზე ყველა უქმ-დღეობით ჩხუბი იმართების ხოლმე. მიზეზი გახლავთ აქაურ აზნაურების ღიღ-გულობა და თავ-გასულობა. ხალხი დაყოფილია ეგრე წოდებულ პარტიებათ. დამაშვენი ბრძანდებიან ქლე—ბა, რომლებსაც უნდათ ხელ-ახლათ ბატონ-ყმობის შემოღება, რომლებსაც ეზარებათ მუშაობა და გაჭირვებით სიცოცხლე. ერთ კი ძალიან კარგათ ცხოვრობს, მიწა-მამული ბევრი იყიდა; ძალიან შემწეობასაც აძლევს სოფლელებს, მით, რომ ფულს ასესხებს 25—36%. (ს. ჩიბათში ერთს ამისთანა ბატონს მთავრობამ აუკრძალა გასესხება; კარგი იქნებოდა ამისთეისაც უკადლება მიექციათ; იქნება ცოტაოდენი დაშინებულიყო!) სხევბი რას არ ჰერიულობენ. ზოგი მეველებათ (ყანების მცენებათ) დადგენ და მინდერიდან განგებ მორეკავენ პირუტყვებს ყანაში და შემდეგ იჭერენ. ზოგს ჰკლავენ და ჰქმენ, ზოგში კი ერთ-ორ მანეთს ახდევენებენ პატრონებს. ზოგი კი ჩოხატაურის ახლო, სუფსის ხიდთან—ხანჯლებით ხედებიან ნაგომრიდან ურმებით მომავალ ურიებს, რომლებიც ბაზრი გაბაზრი მოდიან ხოლმე, და შასსეზე საცოდეებს ძალით ბაქს ახდევინებენ. ზოგი კი ერთ და იმავე მიწას რამოდენიმე ჯერ ჰყიდიან. ასე ვერ გათამამდებოდენ, რომ თავიანთ მეგვარის (ჩოხატ. ბოქაულის) იმედი არ ჰქონდეთ.

შეენიერი მამასახლისიც გვყავს! ქრთამი მისი მოგონილია. სოფლელებს ტყავი „ვაშპო“. სხვათა ბოროტებათა შორის ახალ გამოსულ „პასპორტშიაც“ 60—90 კაპ. იხდევინება. მისი წყალობით აუშენებით სკოლა ასეთი შეენიერი; თითონ ფულები ჩაიხსრიალ ჯიბეში და სხვა კი რა ენალვლება!?

ჯვარცხმელები გაიძახიან: „ვას გაეყარეთ, ვუს შეეყარეთო“. მართალიც ასე არის. „ვა“ გახლდა უწინდელი მამასახლისი, „ვუი“ — ახლანდელი.

ჯვარცხმიდან ჩოხატაურამდის  $1\frac{1}{2}$  ვერსია. ჩოხატაური—ზემო გურიის „სატარო დაბა“ აქ ცხოვრის ყოვლათ ბატონი ბოქაული გ. ჟ—ი, რომელიც, ვისაც წაიხელებს მრულ-და-მართალს უმოწყალოთ ტყებს მათრასთ. კვირკვისთვის დამლევს მათრასთ თავ-პირი ისე დაუსისხლანა ს. ხევის (ერკეთის საზ.) გზის, რომ საცოდაცი საშინელი სანახავი იყო. ეს ის ჟ—ი ბრძანდება, რომელსაც სოფლელებმა რამდენჯერმე გაუკანეს ჩ—ში დაჭერილი ქურდები — ავაზაკები და ამან კი ისინი მეორე დღეს გაუშვა.

ეტლები აქედან ყოველ დღე დაღიან საჯაოხოში (10 ვერსი გზა.) ეტლები კერძო პირთ ეკუთვნის, რომლებიც შეთქამენ პირს და უზომო ფასს იხდევინებიან; ამას ვიღა ჩივის, რომ ფიჩხულივით არ აწყობდენ შიგ ხალხს; თუ ბლომათ ჩასაწყობი იშოვეს, თითო მანათს იხდევინებიან და თუ ცოტა—ორ, სამ მანათს, ისიც დიდი თხოვნა-ევ უჩებით. ამის ატანაც შეიძლებოდა, რომ გზები შიშის ზარს არ სცემდეს აღმიანს, მიღიხარ და ყოველ წუთში მოელოდები ეტლის გადაბრუნებას.

გზას მოიჯარადე ბ. ც—ძე, სულ არ აქცევს ყურადღებას გზის გაკეთებას. ფულებს ბლომათ იღებს და გზას-შოსეს სრულებით არ აკეთებს. დაუტეხელი ქვის ხვაები-ვროვები იჭერენ მთელ შოსეს; ეტლს და ურემს ევლარ შეუარჩიათ ერთმანეთისთვის. ზამთარში მუხლამდის ლაფი დგას. შარშან ეტლით მოედიოდი ლამის 12 საათზე. ეტლი ჩაიფლა; ჩამოვხტი, გალოშები და წალები გამძრა. დაუწყევ ძებნა. თევზაობა ეისწავლე უშველებელ ყინვიან და ბნელ დამეშო; მეეტლეს ვკითხე, რატომ ეტლზე ფარნები არ არის მეტეი. მან მიმიგო: „ჩემი რა ბრალია, ჩემი ხაზეინი ასე შობა, ეკონომისა ეწევაო“. „ხაზეინის ეკონომისა“ ძალიან გამაბრაზა, მაგრამ ერთაფერი მიშველა ამ გაჯაერებამ. ფეხსაცმელები მივატოვე „ჯურლმულსა ტალახისასა“.

ჩენში ცრულ-მორწმუნოება კიდევ არის; ამიტომაც მარჩიელებიც ბევრი გვყავს; საუკეთესოთ ხალხში ითელებიან: ს. იანულში გიორგაძე, დ. ჩოხატაურში—მეგრელიშვილი და საჯაოხოში ძნელაძე. მათდა სახელნიეროთ, ამ-თ ცოლ-შეილი დაპხოციათ. ამ-თ სარგებლობენ და აი რას ამბობენ: „ჩენ დიდი ხანია რაც როგორან და დადიგარო იმას ცოლ-შეილი შევწირეთ და ექიმობა გვასწავლაო. წამოდით ჩენთან ახალ-გაზდა შეიარაღებულო ყმაწვილებო და გაჩენებთ მინდობრზე ერთ უშველებელ ხეს, რომელზედაც ვჯდებით როგორან მიმაგალნი, მხოლოთ საშიში კი არის; თუ დაკინახეს, დაგესვეიან და მოკლავენ“. ეს სიტყვები ძლიერ აშინებს ხალხს და ვერავინ მიჰყვება მათ.

— ჩენო, ამბობენ, ვისეამთ იღლიაში როგორი საკან მოცემულ წამალს და აი ამ წამლის შეცვლილება მეფის მასთან.....

მათ ნალაპარაკეეს რამ მიედიოთ, შორს გავიტაცებს. ხალხის გული კი ძალაან მოიგეს. ყოველ-დღე მათ ეზოები საესეა ხალხით. საიდან არ მოდიან! მარჩიელობა ლირს—5 კაპ., შელოუკა—10 კაპ., ერთი შუშა წამალი 40—50 კ. და შინ წაყვანა 1 გ. შემოსავალი ბევრი აქვთ. კარგი იქნებოდა, ამათ მააქციონ ჯეროვანი ყურადღება და აუკრძალონ ხალხის ყველეფა, ცარცვა და მოტყუება. ყველეფას ვინდა ჩივის, ოლონ-და ხალხი გააჭორიანეს.

რამდენმა მეცნიერებმა შესწირეს თავი მეცნიერებას და კარგი საფრენი მანქანა ექრ მოიგონეს. ეს ჩენი მარჩიელები თურმე წამლების შემწეობით ფრინავინ. კარგი ცნებოდა მეცნიერები დაუახლოედებოდენ ამ მე—XIX საუკუნის „მეცნიერებს“, შეისწავლიდენ მათგან ყველაფერს, უფრო კი წამლების მზადებას. მერჩე რაღათ გვინდა ან რკინის გზა, ან მატარებელი, ან ეგმები, ან საფრენი ბურთები და სხვა. ამიერისეთ იღლიაში წამლები და „ვითარფაშოთ-ვიპარპალოთ“ მაღლა.

გაუმარჯოს ჩენ მარჩიელებს და მათ როგორს!



ცილ-დუბა.

### სხვა-და-სხვა ამბავი.



ფილისის ქალაქის საბჭოს კრებები დაიწყო. ახალი ხმოსნები გმოიჩნდენ, სხვათა კითხებთა-შორის წამოყენებულია სადგომთა ხარჯის შემოვლება. თუმცა ორი-სამი წელიწადია შინაურათ ლაპარაკობდენ ამაზე, მაგრამ მხოლოთ ახლა აპირებენ განხორციელებას, იქნება ამ გადასახადით კელავ მაიც მიემატოს ქართველებს ხშა ხმოსნების ამოსარჩევათ.

\* \*

სატარფო კომიტეტმა ფინანსის სამინისტროსაშ შეწყნარა გ. ეფ. წერეთლის მოხსენება შესახებ ტყის მასალის ტარიფის დაკლებისა ჭიათურის რკინის გზის ტოტზე. ამ ემათ უკევ მოვიდა განკარგულება, რომ ხე-ტყის მასალაზე ჭიათურიდან ‘მორაპნამდის ფუთზე 4 კაპეიკი აიღონ 10 კაპეიკის მავიერათ.

\* \*

ჩენი ქალაქის მცხოვრებლები დაბინავდენ, დაწყო ჩენულებრივ ყველა სასწავლებლებში სწავლა.

ზოგ საკეირაო შეოლაში დღეს, 14, დაიწყება სწავლა. მაგ: ქვაშეეთის წმ. გიორგის ეკლესიასთან, წმ. ნიკოლოვზის ეკლესიასთან და ეკრის პირველ დაწყებითი სკოლის სადგომში. ამ სკოლებში ასწავლიან საღმრთო სჯულს, ქართულ და რუსულ ენებს, სამშობლო გეოგრაფიას, ანგარიშს და გალობას. მეცალინეობა დაიწყება 11 საათზე. სწავლა რასაკვარველია უსასყიდლოა.

აგრეთვე დღეს, 14 ენკენისთვეს, იხსნება საკეირაო სატეხნიკო კურსები ტფალისის სახელოსნო სასწავლებლის დარბაზში, რომელშიაც ასწავლიან ხატვა-ხაზვას, ფიზიკას, ქიმიას, მეხანიკას და სხვ. ფასი წელიწადში 1 მ. ამ კურსებთან იქნება კიდევ ცალკე განცოდებები, სადაც მსურველთ წერა-კითხებს უფასოთ შეასწავლიან.

18 ენკენისთეიდან მასწავლებელ ქალთა საზოგადოებაში ხუთშაბათობით ბატონი რომანოვსკი წაიკითხავს ამ საზოგადოების წერებისათვის ახალ ისტორიას.

\* \*

დიდმალმა გეოლოგებმა მოიყარეს თავი ამ ქამათ ტფილისში, მაგრამ არც ერთი კრება, არც ერთი სხდომა არა ჰქონიათ, რომ ჩეენ ინტელიგენციას ესარგებლა ამითი, მხოლოთ ოთხშაბათს ქალაქში გაუმართა სადილი, რომელზედაც მიპარიგებული ყოფილიან ჩეენი ხმოსნები. გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ ნასწავლა კაცებს ძალიან მხიარულათ გაუტარებიათ ღრო. რასაკეირველია, ბატონი შახ-აზიზოვი და მის გვარი ხმოსნები შეაქცევდენ უცხო ენაზე ბასით.

\* \*

ოზურგეთიდან ატყობინებენ „Новое Озеро.“-ს, რომ ქიქოძეს სახლი, რომელშიაც იდგა წიგნების გამომცემელი კ. თავართქილაძე, გადიწვა, აგრეთვე გადამწვარა „შუამავალის“ საზოგადოების ნიერები 400 მანეთისა. საკეირველია, რომ შარშანაც დაპყარეს ხმა, კ. თავართქილაძეს დაწვას უპირებენო და აქლა კიდეც მოიყვანეს სისრულეში. ამისთანა თავებსულობა ბოროტ-მომქმედებისაგან სწორეთ გასაკეირველია, იმ „შუამავალის“ საზოგადოების ნიერებს რაღას ერჩოდენ.

\* \*

ჩეენ შევატყვეთ, რომ ბათუმის გაჭარ სალერნის ნება მიუღია გაიყენოს რკინის გზის შტო ბათუმიდან კაპანდიდამდის.

\* \*

ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში წელს

მისალები ეგზამენები იქნება მარტო მოსამაშვილებელ კლასში, 15 და 16 ოქტომბერს. სწავლის დასამთავრებელი ეგზამენები კი დანიშნულია კონკრეტულ ტომბერს.

\* \*

მიწათ მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება მიუცია საიმპერატორო და საბალოსნო საზოგადოების კავკაზიის განყოფილებისათვის გაპშაროს ამ წელს ბალეულობის გამოხევნა და საუკეთესო მებალეებს ჯილდოებიც დაუნიშნოს.

\* \*

როგორც გაჩ. „ივერია“ გვაუწყებს, ქუთაისის საკეირაო სკოლის სადგომში ყოფილა საერო მასწავლებელთა კრება, რომელსაც დასწრებია 30-მდე მასწავლებელი, როგორც სოფლის, აგრეთვე ქუთაისის სხეა-და-სხეა სასწავლებლებისაც. ამ მასწავლებლებს უნდათ შეადგინონ ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება, რომელსაც აზრით ექნება როგორც ნიერი დამხმარება გაჭირებულ მასწავლებელთა, ისე მათ გონებრივ განეითარებაზე ზრუნვაც. ამ ნაირივე საზოგადოება დაარსებული ავერ 12 წელიწადია ქ. ტფილისში მასწავლებელი ქალთა საზოგადოების წესდებებს და რამდენათაც შეიძლება, ისარგებლებს მათი გამოცდილებით. მსურველს შეუძლია პირ-და-პირ კვალის რედაქტურისაც მოსმართოს ქალთა საზოგადოების შესახებ რამე ცნობების მისალებათ.

\* \*

იმავე გაზეთის სიტყვეით ფინანსთა მინისტრს განკარგულება გაუცია, რათა სახელმწიფო ბანკიდან საზინებიდან მანეთის, სამი მანეთის და ხუთი მანეთის ქაღალდის ფული აღარავის მიეცეს, მათ მაგიერათ ყველას ლითონის ფული მიეცემა.

— — — — —

ს ი მ ღ ე რ ა.



ამოგესიზნეთ, ქედებო,  
თქვენც შამისაზნეთ მმურათა;  
მოგანდეთ ჩემი სიცოცხლე,  
ჩემი სკე-ბედი სრულათა,  
მიმინდეთ, არ მიღალატეთ,  
არ მოჰეჭით მტრუდათა.

იმიტომ მკერდში მისხვდათ  
გაუნო, მეორე გულათა.

რა უკიუინო გაცო გროვას,  
რა უკიუინო ჭებიანათ?  
ბევრი ჭიათ გულს თქვენეულს  
გაცო სიბრიუებას ზიანათ;  
გამსადა თვისი ერთგული  
ეშმაგებისა ზიანათ.

ნასულდგმულარი თქვენითა  
ჯერ ისევა კარ ფსიანათ,  
სან თუ ნისლები მეწვევა,  
გულს შამბურავს შავათა  
გრიგო თავის გაჩენის დღეს  
გუნებითა კარ ავათა.

თქვენ რომ თვალს მოგერავთ მაშინვე  
მოვრჩები თავის-თავათა,  
მრწამს აზრი გაცო სიცოცხლის,  
მრწამს საიდუმლო სოფლისა;  
მრწამს რომ ანათებს ღვთის სადგურს  
სანთლები მშრომელთ თვლისა.  
მრწამს ბოლოს გასახარებლათ  
დღეს მწარე ცრემლი თბლისა,  
შეგნებული მაქეს მიზეზი  
ჩვენის უმსგავსის უოფნისა,  
გაქავდეს ენა და შირი  
ჩვენის უმსგავსის უოფნისა.

გაუ-ზშაული.

„გვალის“ კორესპონდენციები.



ათები. სწორეთ საზარელ მდგომარეობაში არიან  
ბათუმელი მუშები; აუტანელ შრომას ეწევიან  
დილიდან სალამომდის და იმდენ ფულს  
ძლიერ შოულობენ, რომ შიმშილით არ მოკედენ. ეს  
კიდევ არაფერი, სამუშაო რომ ყეველის უოფნიდეს.  
მუშები ისე გამრავლდენ, რომ ნახევარზე მეტი უსაქ-  
მოთ რჩებიან და გამხდარი, გაყვითლებული აჩრდი-  
ლებიით დაიარებიან ქუჩებში. არაის გულში მათი  
სიბრალული, შეწყალება არ არის. აი, მაგალითათ,  
როგორ ეპყრობა მათ ბ. ბ—ი, რომელსაც იჯა-  
რით აქეს აღებული სამუშაო, ორთქლით მატარებლის  
დატეირთვა, და დღეში 200 მუშაზე მეტი ჭირდება.  
გულმოდგინეთ შრომობენ მუშები სალამოს 6—7

სათამლის და იღებენ ბ—გან ხელ-მოწერილ  
ტანციებს, რომელიც იქავე კანტორაში მიაწვი. აუ  
დადგებიან კარებთან და იცდიან, ელიან, რომელიც მარტივ  
ნება ჩევნი ვაი-ვაგლახით ნაშრომი მოგეცენო, შავრამ  
ეისა აქვს მათი ჯაერი ბოლოს გამოვა ხ—ი და გა-  
მოუცხადებს: განა არ იცით, რომ ფული არ არის? თუ  
მანც-და-მაინც მიღება გინდათ, ორი შაური და-  
უკელით და მაშინ დაგირიგებთო. საწყალ მუშებს კუ-  
ჭი შიმშილით ეწვისთ, აბა რა ძალაზე დადგომა შე-  
უძლიათ? მიპყვეს გულ-მტკიცნეულ ხ—ს სამიერნო-  
ში და უკლებს ყველას ორ-ორ შაურს.

აი, რა მდგომარეობაში იმყოფებიან ბარუეს  
მუშები!

ერთი მუშათაგანი.

სოფ. ჩდილი ბეჭათუბნის საზოგადოებას ეკუთ-  
ენის. ამ სოფელში დიდი ხანია რაც საქონლის ჭირი  
მძეინეარებს. გლეხთ ფარქოსაძეებს სანაშენო აღარ  
შეარჩინა, ისე გაუფლიტა საქონელი, სხევებიც ბერნი  
დაზარალდენ. აქედან სადგურ მოლითამდის სულ სა-  
მი ვერსი იქნება და ყველასაგან კი ასე მიტოვებულია ეს  
ადგილი. კარგი იქნება ვისიც ჯერაძეს ყურადღება  
მიაქციოს.

ზემო ქართლი. წელსაც ჩევნესკენ ნაკლები მო-  
საგალი მოეიდა, როგორც პურისა, აერეოე სი-  
მინდისა. ამჟმათ აქეთ პური ფასობს ფუთი 80  
კაპ. სიმინდი 50 კაპ. ვენახებზე კი ნურას ვეკითხავთ  
ლიხის მთის კალთებზე მდებარე სოფლებში გლეხი ძრი-  
ელ ნაკლებათ მიდევს ენახის ჭაშენებას და თე მაინც სა-  
დმე მოიპოვება ვენახი, ისიც ისეა, რომ მნახელს  
ევონება, როველი უკვე გაუთავებიათო. აქეთ მხარეს  
ვინც კარგა შეძლებულ გლეხათ ითვლება, მას ნახე-  
ვარი წლის საკმარისი საჩიოც არ მოუვა. იგინი მი-  
დიან ძვემო-ქართლში და იქ ნაყიდ პურით უნდა  
გამოკვებონ ცოლ-შეილი; ხელში აუღიათ ჩანახი და  
ტომარა მღედელს, დალაქს, ურიას და სომხეს და  
თხოვენ ისეც წყალ-წალებულ გლეხს.

ეს ხალხის ქანებრივათ დაქვეითება იმას კი არ  
უნდა დაგამართოთ, რომ ეითომ ამ წელიწადს არ  
მოეიდა მოსავალი, არამედ იმას, რომ საზოგადოათ ზე-  
მო-ქართლის გლეხები ძრიელ ვიწროთ ცხოველებენ  
და ეს ხელს უშლის სხეა-და-სხეა მეურნეობის მიყო-  
ლას; აქეთ თუმცა მიწა ნოკიერია მაგრამ ძალიან  
მცირე აქეთ და ამის გამო შინაური პირუტყვი ეერ  
გაუშენებიათ.

აქამდის ტყე იყო ამათი დაუშრეტელი წყარო.

ახლა ისიც მოესპონ, ისიც გამოელიათ, იქ სადაც  
ამ თუთხმეტი და ოცი წლის წინეთ უზარმაშარ ტი-  
კის ხეებს ჭრიდენ, ახლა ათასში ერთხელ ნახათ თა-  
ოთ-ორიოლა წიფელას, რომელიც მარტოთ დგას და  
მის გარშემო კი ჩირგვნარის მეტი არაფერი მოიპოე-  
ბა. სიბრალულს აღძრავს ყველა შესმენილ კაცის გუ-  
ლში ის გარემოება, რომ ეს ძეირფასი განძი ასე ვა? ქრი-  
ლა ჩვენი დაუზოგველობით და უცოდინარობით.


ჩეენი თავად-აზნაურობაც ისე ექცევა იქა-აქ კი დევ დარჩენილ თითო მუჭა ტყეს, როგორც მტერი, რომელიც ამბობს „დღეს აქა ვარ, ხვალ სხვა-განო“. ოღონდ კი საფეხ შეშაში საში მანეთი მიეცი, რომ იქნიოს და სხვისი ჯაური არა აქს.

ამ სიეწროების გამო უნდოდათ რამდენსამეტ კომლს  
კანეთისაკენ წასვლა და კიდევ წავიდენ სოფ. კაბალ-  
ზე მაგრამ ამისთანა მთა ალაგზე აღზრდილი კაც,

როგორიცაა არის ლიხის მთის კალთები, როგორ განა-  
ლებდა „კაბალზე“? კაბალი გაშორებული წარებულებულ-  
გილია და გარასახლებულები უკან დაზიანებულია ეს

ამ დღეებში ბორჯომის ბლალიჩინა ბძანდებო-  
და სოფელ იტრაში და ხალხს გაზოუცხადა, შეკოლა  
გახსენით. როგორც საზოგადოო მთელი ქართლი  
ამბობს, აქაც ცივი უარი უთხრეს, მაგრამ როცა ბლა-  
ლიჩინ დაეკიდოვმა აუხსნა ხალხს, თუ რა სარგებლო-  
ბა მოაქეს შეკოლას, შემდევი უპასუხეს, ჯერ რომ თავს  
დაგვანებებდეთ კარგი იქნება, არათერი გვეშკა-  
ლება, ათას ნაირი გადასახადი ვგაწევს კისერზე და  
იმასაც ვერ გავძლილივართ. თუ არა მოგვას-  
ევნებთ, ჩევნც სურამის შეკოლაზე მიგვაწერთ, რადგან  
სურამის სამამასახლისოს შევადენთ, ხარჯიც ცოტა  
ნაკლები მოგვინდება.

„ଲୋକଙ୍କ ମତାଜଳି“




ତୁଳାନ୍ତକ ରା ମହାରାଜଙ୍କ.

ფალანგა და მორიელი

აოანგას და მორევლს დიდი მსგავსება აქვთ  
ერთმანეთთან. ფალანგაცა და მორიელიც  
ეკუთხნიან არსებათა ერთსა და იმავე რიგს,  
ასე წოდებულ ობიექტს ნიჩრთა რიგს. ფალანგაცა და

მორიგელიც ახელი ქვეყნების მცხოვრებანი არიან. ორივენი ჰაერით სუნთქვეენ, ასე წოდებულ სასუნთქვა მიღებით, ანუ ტრანსპერით. ორივე არსების მთვლი სხეული შემდგარია რამდენიმე რეოლებისაგან, რომელთ სეგმენტები ეწოდებათ. ხოლო ის კია, რომ ფალანგას ეს სეგმენტები უფრო შეჩრდილია და შეკორცებულია აქეს ერთმანეთთან, ამიტომ ყო-

କେତେବେଳେ ପ୍ରାଚୀନ୍ତିକ ଲୋକଙ୍କ ମହାଦେଶରେ ଯାଇଲୁ ଏହା  
ଅଜ୍ଞାନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ କିମ୍ବା ପରିବର୍ତ୍ତନରେ କିମ୍ବା ଉତ୍ସମ୍ଭବରେ  
କୁଳପାତ୍ରରେ କୁଳପାତ୍ରରେ କୁଳପାତ୍ରରେ କୁଳପାତ୍ରରେ



ცნობის მოყვარეობისათვის თავ-განწირვა (შპიცბერგენს).

ველი სეგმენტი ფალანგის ტანისა ცხადლით როდია დასანახავი. მორიელის სხეულს კი შეადგენს ცხადათ გასარჩევი და უბრალო თავალით დასანახავი შეიღი სევ-მენტი. მორიელის ტანი გაგრძელებულია კუდით, რომელიც შემდგარია ექვსი სეგმენტისაგან. ფალან-გასაც და მორიელსაც ოთხ-ოთხი ტრიუვილი სახსრია-ნი ფეხები ასხიათ. ფალანგა კერძო ცხებს, რო-მელთაგან მატლებს გამოჩეკს ხოლმე. მორიელი კი ცხოვლათ შობს შეიღებს. ორივე ცხოველი დაუნ-დობელი და შეუბრალებელი მტაცებელი არიან. ფა-ლანგას გესლი თეთი უბეებთან აქვს მოქცეული. ამი-ტომ იგი მსხვერპლს თეთი ჭამის დროს ჰეგსლავს. მორიელს კი გესლი მოთავსებული აქვს გულის უკა-ნასწელ სეგმენტში, რომელიც ბურთივით არის გა-მობერილი და გესლანი სისხლით საეს. მორიელი, უდრე ჭამას დაიწყებს, ჯერ, ამ, ამ სითხით დაპეს-ლავს მსხვერპლს. ფალანგა საზოგადოთ მწერით იკვე-ბება. თუმც ხშირათ სხეა ცხოველთაც კი თავს დაეს-ხმის, მაგ. ჯოჯოთა და პატარა ფრინველთ. მორიე-ლი კი მხრალოთ ობობით და ფალანგით იკვებება. პირდაპირ თუ შეეტაკენ ერთმანეთს მორიელი და ფალანგა, მაშინ მორიელი სჯობნის და ფალანგას იმ-სხვერპლებს. მაგრამ ხშირათ, ფალანგაც დასძლევს ხოლმე მორიელს, ამ შემთხვევაში ფალანგა მცირე-ოდენ ხერხს იჩენს. იგი პირდაპირ კი არ შეებრძო-ლება მორიელს. არა. მიეპარება ხოლმე უკანიდან და თავისი მაგარი და ღონიერი უბეებით გესლიან კუდს წაარცერს მორიელს, და შემდეგ კი მასაც გამოხ-რავს. აქ ამ სურათზე სწორეთ ეს მამენტია დახატუ-ლი, როცა ფალანგას თვისი პირი მაგრათ ჩაუჭერია მორიელის კუდისთვის. მორიელისა და ფალანგის გეს-ლი მეტათ მავნებელია და ხშირათ მომაკედინებელიც. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც მორიელი და ფალან-გა სცხოვერებნ (ჩევნშიაც არიან) ადამიანს მათი დი-დი შიში აქვს. კასპიის იქითა მარეში ბეერი ფა-ლანგა მოიპოვება. ჩევნებურ მცხოვრებთ მისი ძლი-ერ ეშინიათ. ამიტომ ზაფხულობით, სადაც კი ფალანგა მოიპოვება, იმ ადვილებს სტრენგ და მთებში იხი-ზნებიან. შინაურ საქონელსაც ძლიერ აზიანებს ფა-ლანგა; ზაფხულობით საზოგადოთ შინაურ ცხოველს ბალანი გასცივა და მუცელი უშიშელდება. როცა ასეთი საქონელი მიწაზე დაწევება, ფალანგა ადვილათ ჩასხავს ხოლმე თავის გესლს ასე გაშიშელებულ კანში. შედეგი ამისა ის არის, რომ საქონელი მუცელ-ზე სივრცება და იბერება. ხშირათ, რასაც რეველია, გადურჩება ასეთ დაგესლის, მაგრამ ხშირათ კი ვერ გადიტანს და სულს განუტევებს.

მგზავრის შენიშვნები.

ერთოვენული

(ე კ რ თ პ ა შ ი) ბიბლიოთის



